სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდა ელჩების პროგრამა

ევროკავშირი საქართველოსთვის

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

დეტალური გზამკვლევი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი გიწვევთ ახალგაზრდა ელჩების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

გაეცანი პროგრამის გზამკვლევს და გაიგე როგორ გახდე ჩვენი ახალგაზრდა ელჩი შენს რეგიონში!

სოციალური მეწარმეობის შესახებ

ბოლო წლებში ევროპასა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სოციალური მეწარმეობა პოპულარული კონცეფცია გახდა. იგი გულისხმობს ბიზნესის არატრადიციული გზით კეთებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სოციალური საწარმოს თავდაპირველი მიზანია კონკრეტული სოციალური ან გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება. ბიზნეს საქმიანობა კი წარმოადგენს სოციალური შედეგებისა და გავლენის მიღწევის ერთგვარ დამხმარე ინსტრუმენტს.

რატომ სოციალური მეწარმეობა?

ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ცვლილების ინიციატორებისთვის წვლილი შეიტანონ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების სისტემურად და გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარებაში.

სოციალური მეწარმეობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს.

Brot für die Welt | SEA | სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი | საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია | საგა | evpa INVESTING FOR IMPACT | ახალგაზრდობის სააგენტო

ახალგაზრდა ელჩების პროგრამის შესახებ

ახალგაზრდა ელჩების პროგრამა ტარდება პროექტის **"სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის"** ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) ევროკავშირისა და პური მსოფლიოსთვის მხარდაჭერით.

პროექტი სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნით, საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მოგვარებისა და ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვის უნიკალური შესაძლებლობაა.

სოციალური მეწარმეობის განვითარებაში მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა. პროექტის ფარგლებში ჩვენი პრიორიტეტია ახალგაზრდების ინფორმირება და დაინტერესების გაზრდა სოციალური მეწარმეობის მიმართულებით.

ახალგაზრდებისთვის სტუდენტურ კონკურსებს CSRDG 2012 წლიდან ახორციელებს და მასში წლების მანძილზე 500-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთო. სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის მიღება, სოციალური მეწარმეებისა და მათი საქმიანობის ახლოს გაცნობა ზოგიერთი მონაწილისთვის ხშირ შემთხვევაში გახდა ბიძგი სოციალური საწარმოების დაფუძნებისკენ, საზღვარგარეთ ამ მიმართულებით განათლების გაგრძელებისკენ, კარიერის დასაკავშირებლად სოც.მეწარმეობასთან და სხვ. ახალგაზრდა ელჩების პროგრამა აღნიშნული გამოცდილების გაგრძელებაა, პირველი წარმატებული წლის შემდეგ, უკვე მეორე ეტაპი იწყება.

ახალგაზრდა ელჩების პროგრამის მიზანია:

- ახალგაზრდებისთვის სოციალური მეწარმეობის გაცნობა და მათი ინტერესის გაზრდა ამ მიმართულებით
- ახალგაზრდების ჩართულობა მათ გარშემო არსებული სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრაში სოციალურ მეწარმეობაზე ცნობიერების ამაღლებით
- ახალგაზრდა ელჩების აღმოჩენა და მათი წახალისება მცირე ფინანსური მხარდაჭერით (700 EUR) თავიანთ რეგიონებში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციის მიზნით
- სოციალური მეწარმეობის სფეროში ახალგაზრდა ლიდერების აღმოჩენა და მათთვის სხვადასხვა შესაძლებლობის შექმნა
- ახალგაზრდების უნარ-ჩვევების განვითარება გრანტების მართვის, დონორებთან ურთიერთობისა და სხვა პრაქტიკული საქმიანობის მიმართულებით

ტექნიკური საკითხები

ჩვენი პროგრამა ღიაა ყველა დაინტერესებული, მოტივირებული, საქმესა და წინსვლაზე ორიენტირებული ადამიანისთვის, რომლებსაც მის გარშემო არსებული საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარების სურვილი და ინტერესი ამოძრავებს.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ **18-29 წლის** ახალგაზრდებს მთელი საქართველოდან.

პროგრამაში მონაწილეობის ხარჯები სრულად დაფინანსებულია ევროკავშირისა (European Union) და პური მსოფლიოსთვის (Bread for the World) მხარდაჭერით.

პროგრამა მოიცავს სოციალური მეწარმეობის შესახებ საზაფხულო სკოლასა და პროექტების კონკურსს.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის სულ შეირჩევა 20-25 ახალგაზრდა, რომლებიც სკოლის გავლის შემდგომ ჩაერთვებიან პროექტების კონკურსში.

პროგრამაში მონაწილეობის ეტაპები

1. **მონაწილეების შერჩევა განხორციელდება 2 ეტაპად:**

   ა) რეგისტრაცია - განაცხადები მიიღება ონლაინ 24 აპრილამდე.[1]

   ბ) **გასაუბრება** - შერჩეულ კანდიდატებთან ჩატარდება ონლაინ, 2023 წლის 30 აპრილი 5 მაისის ჩათვლით. ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას, დაუკავშირდნენ მხოლოდ გასაუბრების ეტაპზე გადასულ კანდიდატებს.

მონაწილეების შერჩევის კრიტერიუმებია:

- ასაკი (18-29 წელი)
- საზოგადოებრივი / მოხალისეობრივი აქტივობის გამოცდილება
- პროგრამით დაინტერესების მთავარი მოტივატორები

2. **საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები**

ახალგაზრდებთან სოციალური მეწარმეობისა და ახალგაზრდა ელჩების პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაცნობად რეგისტრაციის პერიოდში ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები ფიზიკურ სივრცეებში - **გორში, თელავში, ბათუმში, ოზურგეთში,**

[1] წარმოდგენილი პირადი ინფორმაცია დამუშავდება ორგანიზატორების მიერ და გამოყენებული იქნება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული საორგანიზაციო საკითხებისთვის.

ზუგდიდსა და ქუთაისში. საქართველოს მასშტაბით სხვა ახალგაზრდების ჩასართავად ასევე ჩატარდება ონლაინ შეხვედრა Zoom-ის საშუალებით.

შეხვედრების განრიგი და რეგისტრაციის ბმულები

თელავი- 28 მარტი, 14:00 საათი, შეხვედრაზე რეგისტრაციის ბმული	**გორი**- 29 მარტი, 14:00 საათი შეხვედრაზე რეგისტრაციის ბმული
ბათუმი-3 აპრილი (ადგილი და და დრო დაზუსტდება)	**ოზურგეთი, ტექნოპარკი** (დრო დაზუსტდება)
ზუგდიდი- 4 აპრილი, შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დაზუსტდება)	**ქუთაისი- 5 აპრილი** (ადგილი და დრო დაზუსტდება)
ონლაინ Zoom შეხვედრა (დაზუსტდება)	**ონლაინ Zoom შეხვედრა** - 19 აპრილი (დაზუსტდება)

საინფორმაციო შეხვედრებსა და სემინარებზე განიხილება:

- სოციალური მეწარმეობის არსი;
- საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა მოგვარებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური მეწარმეობა;
- სოციალური მეწარმეობა, როგორც პერსპექტივა ახალგაზრდებისთვის კარიერული განვითარების პროცესში;
- მოქმედი სოციალური საწარმოების ისტორია და გამოცდილება თავად სოციალური მეწარმეების მხრიდან;
- ახალგაზრდა ელჩების პროგრამა: მონაწილეობის პირობები და შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის

3. საზაფხულო სკოლა

კონკურსის შედეგად შერჩეული ახალგაზრდები გაივლიან საზაფხულო სკოლას საგურამოში, სასტუმრო სევსამორაში, რომლის ფარგლებშიც 5 დღის მანძილზე:

- გაეცნობიან სოციალური მეწარმეობის არსსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარებაში;

- გაეცნობიან სოციალურ მეწარმეობაში ახალგაზრდებისთვის არსებულ შესაძლებლობებს;

- მენტორებთან ერთად იმუშავებენ მათ გარშემო არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე
- მონაწილეები ეწვევიან სხვადასხვა სოციალური მიზნის საწარმოებს, შეხვდებიან სოციალურ მეწარმეებს, გაეცნობიან მათ საქმიანობას და მიიღებენ მონაწილეობას ადგილზე თემატურ ვორქშოპებში.
- გაივლიან პრაქტიკულ მომზადებას მცირე პროექტების კონკურსისთვის, მათ შორის კომუნიკაციების, ინფორმაციის გავრცელებისა და სხვა საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მხრივ.

სკოლა განხორციელდება 15-19 მაისის პერიოდში. ყველა მონაწილეს გადაეცემა მონაწილეობის სერტიფიკატი.

პირველი ნაკადის ვიდეოს გაეცანით ბმულზე.

4. პროექტების კონკურსი

სკოლის დასრულების შემდეგ, მონაწილეები ჩაერთვებიან მცირე პროექტების კონკურსში, რომლის მიზანია რეგიონებში სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. კონკურსისთვის პროექტების წარმოსადგენად მონაწილეებს მიეცემათ 2-კვირიანი ვადა, რათა განავითარონ იდეები, შემოიკრიბონ თანამოაზრეები, განსაზღვრონ სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, და წარმოადგინონ ინიციატივები ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

იდეების განვითარების ეტაპზე, მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა შეხვდნენ მენტორებს, გააცნონ პროექტის წერის პროცესი, მიიღონ მათგან რჩევები და რეკომენდაციები პროექტების გაუმჯობესების და საკონკურსო კომისიასთან პრეზენტაციის წარდგენის საკითხებზე.

პროექტების კონკურსის შედეგად შეირჩევა **6 ახალგაზრდა ელჩი,** რომლებიც მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას საკუთარ რეგიონში სოციალური მეწარმეობის გავლენის შესახებ ინფორმაციის კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის გასაცნობად.

რეგიონებში სოციალური მეწარმეობის ჩვენი მომავალი ელჩები იქნებიან ჩვენი დასაყრდენი და სანდო ძალა, ჩვენი საერთო მიზნების მისაღწევად.

5. ახალგაზრდა ელჩების გამოვლენა და დაჯილდოება

ახალგაზრდა ელჩების პროექტებს გაეცნობა სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელიც სხვადასხვა კრიტერიუმის[2] შესაბამისად შეაფასებს პროექტს და მიანიჭებს ქულებს. საკონკურსო კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საფუძველზე შეირჩევა 10-12 პროექტის ავტორი, რომელთაც ექნებათ კომისიასთან პრეზენტაციით წარდგენის საშუალება.

5-15 ივლისის პერიოდში გაიმართება პროექტების წარდგენისა და 6 ახალგაზრდა ელჩის გამოვლენის ღონისძიება, სადაც პრეზენტაციაზე მიღებული და კომისიის მიერ მინიჭებული ქულების დაჯამების შედეგად, გამოვლინდება 6 გამარჯვებული ელჩი.

გამარჯვებულები მიიღებენ **700 ევროს** ექვივალენტის ფინანსურ მხარდაჭერას CSRDG-სგან, თავიანთ რეგიონებში პროექტების განსახორციელებლად.

პროექტების სრულად განსახორციელებლად ელჩებს ექნებათ 5 თვე, რის შემდგომაც უნდა წარმოადგინონ საბოლოო ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ.

2024 წლის იანვარში ახალგაზრდა ელჩებისთვის გაიმართება შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც ისინი შეძლებენ სოციალურ მეწარმეობაზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ახალგაზრდებს, დონორებს, სოციალურ მეწარმეებს, მედიისა და ზოგადად სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულ პირებს წარუდგინონ თავიანთი შედეგების პრეზენტაცია.

გამოვლინდება და დაჯილდოევდება საუკეთესო ახალგაზრდა ელჩი სპეციალური, განსაკუთრებული პრიზებით, მათ შორის სასწავლო ვიზიტით უცხოეთში.

მნიშვნელოვანი თარიღები

ეტაპი	**თარიღი (2023 წელი)**
რეგისტრაციის დაწყება	22 მარტი
რეგისტრაციის დასრულება	24 აპრილი
საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები	თელავი (28 მარტი)
	გორი (29 მარტი)
	ბათუმი (2 აპრილი)
	ოზურგეთი
	ზუგდიდი (4 აპრილი)

[2] პროექტების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია მონაწილეებს მიეწოდებათ წინასწარ

	ქუთაისი (5 აპრილი)
ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა და სემინარი	11 აპრილი; 19 აპრილი
განაცხადების გადარჩევა	24-30 აპრილი
გასაუბრება	30 აპრილი -5 მაისი
საზაფხულო სკოლა	15-19 მაისი
პროექტების კონკურსი	15 მაისი– 10 ივნისი
მენტორებთან შეხვედრა და პროექტების წერის პროცესის გამართვა	20 -25 ივნისი
პროექტების შეფასება	25 ივნისი-5 ივლისი
ახალგაზრდა ელჩების გამოვლენა	5-15 ივლისი
კონტრაქტების გაფორმება გამარჯვებულებთან	15-25 ივლისი
ელჩების მიერ პროექტების განხორციელების ვადები	აგვისტო-დეკემბერი, 2023
საუკეთესო ელჩის გამოვლენა და დაჯილდოება	იანვარი, 2024

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის შესახებ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა.

ჩვენ ხელს ვუწყობთ ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალური მეწარმეობის განვითარებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით. ორიენტირებულები ვართ ისეთ შედეგებზე, რომლებიც პოზიტიურ ცვლილებებსა და კეთილდღეობას მოუტანს, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთლიანად საზოგადოებას.

ჩვენი ღირებულებებია: პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და თანასწორობა; გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, ადამიანის ღირსებები; მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

ჩვენმა გუნდმა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად პირველმა დაიწო სოციალური მეწარმეობის განვითარება საქართველოში ჯერ კიდევ 2009 წლიდან.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამის მიზანია საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში დამწყებ და მოქმედ სოციალური საწარმოებს ვუწევთ ფინანსურ მხარდაჭერას საგრანტო კონკურსების სახით და ტექნიკურ დახმარებას ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე ტრენინგებისა და კონსულტაციების სახით. შედეგად, თანამოაზრეებთან ერთად ხელი შევუწყეთ იმას, რომ დღეს ქვეყანაში 150-ზე მეტი სოციალური საწარმო საქმიანობს.

სოციალური მეწარმეობის განვითარებაში მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა. ჩვენი პრიორიტეტია მათი ინფორმირება და დაინტერესების გაზრდა სოციალური მეწარმეობის მიმართულებით. ამ მიზნით 2012 წლიდან ვახორციელებთ პროექტებს, სტუდენტურ კონკურსებს, საინფორმაციო შეხვედრებს და ა.შ.

სოციალური მეწარმეობის პროექტის შესახებ

CSRDG ევროკავშირისა და „პური მსოფლიოსთვის“ მხარდაჭერით 2021 წლიდან ახორციელებს პროექტს **“სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“.** პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან: სოციალურ საწარმოთა ალიანსი (SEA), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (GCDA), საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი (DDUG), ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაცია (EVPA), ახალგაზრდობის სააგენტო (YAG), როგორც ასოცირებული პარტნიორი.

პროექტის მიზნებია:

- განავითაროს ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემა
- გააუმჯობესოს სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სამართლებრივი გარემო
- აამაღლოს ცნობიერება სოციალური მიზნების მქონე ბიზნესებისა და სოციალური მეწარმეობის დადებითი შედეგების შესახებ
- გააცნოს სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმოები ფართო საზოგადოებას, მათ შორის ახალგაზრდებს
- შექმნას ახალი შესაძლებლობები სოციალური მეწარმეებისთვის გააფართოვონ საქმიანობა და გაზარდონ სოციალური გავლენა, დამწყებმა მეწარმეებმა კი დააფუძნონ ახალი და საინტერესო სოციალური საწარმოები.
- მხარი დაუჭიროს სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებული დაფინანსების მექანიზმების განვითარებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას
- წაახალისოს ქსელური საქმიანობა სოციალურ საწარმოებს შორის

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
იოველ ჯეგაშილის I გასასვლელი #5, თბილისი.
სატელეფონო კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ხუთშაბათს და პარასკევს, დილის 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.

მარიამ მჭედლიშვილი ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399019/18; მობ: (+995) 555191363; ელ-ფოსტა: Mariam.mchedlishvili@csrdg.ge	მარიამ ჯაფარიძე ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399019/18; მობ: (+995) 555101040; ელ-ფოსტა: Mariam.japaridze@csrdg.ge